

2019 წლის 8 თებერვალი

ქ.თბილისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 8 თებერვალს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათა უნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა, სულხან სულხანიშვილი.

სხდომას უმძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ჯალაღონიას ოქმი და მოხსენებითი ბარათი, მსაჯთა ბრიგადის ს. ჩიხლაძის, ი. მუჟაანაძის, ი. საჯაიას, ი. ჭანუყვამის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მოხსენებითი ბარათები, ამა წლის 2 თებერვალს, დიდი 10-ს მატჩზე, თბ „ლოკომოტივი“-სა და მარნეულის „არმაზი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი - მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელი თ. ბენდიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000 (ორი ათასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 10 მარტამდე.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 2,1,19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ლოკომოტივი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/